დანართი 8 - საბანკო გარანტიის ტექსტი

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია

ქალაქი თბილისი **[თარიღი]**

გარანტი: [დასახელება] [საიდენტიფიკაიო ნომერი]
გარანტის მისამართი: [იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი]
პრინციპალი:[დასახელება] [საიდენტიფიკაიო ნომერი]
ბენეფიციარი: შპს „მაგთიკომი“ (ს/ნ: 204876606)
საგარანტიო თანხა: [----------]

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ „პრინციპალსა“ და „ბენეფიციარს“ შორის უნდა გაფორმდეს/გაფორმებულია (იმის მიხედვით, თუ რა ეტაპზე ხდება გარანტიის წარმოდგენა) ---------- დაშვების მომსახურების ხელშეკრულება (შემდგომში - „ხელშეკრულება“) და „პრინციპალის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის უზრუნველსაყოფად საჭიროა საბანკო გარანტიის წარდგენა, „გარანტი“ თანახმაა გასცეს „პრინციპალის“ სახელზე წინამდებარე საბანკო გარანტია (შემდგომში - „საბანკო გარანტია“).

აღნიშნულის გათვალისწინებით, „გარანტი“კისრულობს გამოუთხოვად და უპირობო (რაც გულისხმობს, რომ მოთხოვნილი თანხის ყოველგვარი დასაბუთების და დოკუმენტარულად დადასტურების ვალდებულების გარეშე) ვალდებულებას, აუნაზღაუროს „ბენეფიციარს“ ნებისმიერი თანხა არაუმეტეს „საგარანტიო თანხისა“, „ბენეფიციარის“ პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) დღის ვადაში.

„ბენეფიციარის“ მოთხოვნა „საგარანტიო თანხის“ ანაზღაურებაზე „გარანტისთვის“ წარდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით და მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს:

- მოთხოვნილი თანხა;
- „ბენეფიციარის“ საბანკო რეკვიზიტები;

დანართი - საბანკო გარანტიის ტექსტი

- მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (იმ შემთხვევაში, თუ იგი არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი).

„საბანკო გარანტია“ მოქმედებს [----------]მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (იმ შემთხვევაში, თუ იგი არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი)ჩათვლით (შემდგომში „მოქმედების ვადა“). „ბენეფიციარის“ წერილობითი მოთხოვნა მიღებულ უნდა იქნას არაუგვიანეს აღნიშნული თარიღის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე:

„საბანკო გარანტია“ უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- „საბანკო გარანტიის“ „მოქმედების ვადის“ გასვლით;
- „გარანტის“ მიერ „ბენეფიციარისთვის“ საგარანტიო თანხის სრულად გადახდით;
- „ბენეფიციარის“ მიერ „საბანკო გარანტიიდან“ გამომდინარე საკუთარ უფლებებზე წერილობით უარის თქმით.

„საბანკო გარანტია“ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

„საბანკო გარანტიის“ თაობაზე ან მასთან დაკავშირებით წამოჭრილი ნებისმიერი დავის გადაწყვეტა მოხდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონდებლობის შესაბამისად.